# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 159. ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი 1903 წ. გაზეთის № 2294.


* * *

მოკაშკაშე ცისკარი სჩანს
განთიადის წინამძღვარი,
მას ნიავი სალამს უძღვნის
და ადიდებს ვარსკვლავთ ჯარი.

—

ამის ხილვით აღტაცებულს,
მოუჴართავს ბულბულს ჩანგი
და ხმა-ტკბილად აწკრიალებს,
შორს გაისმის უცხო ჰანგი:

—

„განთიადი მოახლოვდა,
სჩანს, აწ მალე გათენდება
და წყვდიადი, საზიზღარი,
შავ კუბოში ჩასვენდება.

—

„მაგრამ ჯერ ის მსხვერპლს თხოულობს,
სამსხვერპლოზე შესაწირავს,
და ვაშა მას, ვინც იმისთვის
უნანებლად თავს გასწირავს!“

გ. რუხაძე



ვ. ნ. აბულაძე

ახლად არჩეული ქალაქის მოურავი სოხუმში

# უსათაურო

მოთხრობა ა. ჩეხოვისა.

მეხუთე საუკუნეში, როგორც ეხლა, ყოველ დილით ამოდიოდა მზე და ყოველ საღამოს ჩადიოდა. დილით, როდესაც ცვარი პირველ სხივებს ამბორს უყოფდა, დედა-მიწა ილვიძებდა, სიხარულის ხმებით, აღტაცებითა და იმედებით ჰაერი ივსებოდა, საღამოთი-კი იგივ დედა-მიწა დუნდებოდა, უკუნში ინთქებოდა. დღე დღისა მზგავსი იყო, ღამე ღამისა. იშვიათად გაჩნდებოდა ღრუბელი და მრისხანედ დასჭექდა გრგვინვა, ან მოსწყდებოდა სადმე ლაჩარი ვარსკვლავი, ან გაფითრებული ბერი ჩამოირბენდა და მოუთხრობდა ძმათა, რომ მონასტრის მახლობლად ვეფხი ნახა—სულ ეს იყო, დღე კვლავ დღეს ემზგავსებოდა და ღამესა ღამე.

ბერები შრომობდნენ, ევედრებოდნენ უფალს, ამათი მოხუცი წინამძღვარი ორგანზე უკრავდა, სთხზავდა ლათინურს ლექსებს და ნოტებსა სწერდა. საოცარის ნიჭის პატრონი იყო ეს საკვირველი მოხუცი! როცა მის სენაკიდან ორგანის ხმები გამოისმოდა, თვით უხუცესი ბერებიც-კი, რომელთაც ხნოვანებამ ყურთა სმენა ფრიად შეულახა, ცრემლებს ვერ იჭერდნენ—ასე ხელოვნურად უკრავდა წინამძღვარი. როდესაც ლაპარაკობდა, თუნდ სულ ჩვეულებრივ რასმეზე, მაგ.: ხეებსა, მხეცებსა, გინდა ზღვაზე, ისე ვერ უსმენდნენ, რომ ან ღიმილი, ანა და ცრემლი არ მოსვლოდათ, თითქოს ორგანისებურ სიმების ხმა ესმითო. ხოლო თუ განრისხდებოდა ხოლმე, ანა და მოუთხრობდა რასმე საშიშარს, დიდებულს—ვნებით სავსე ზეშთაგონება მოიცავდა, ანთებულ თვალთაგან ცრემლი ედინებოდა, სახეს ალმული ედებოდა, ხმა, ვითა ქუხილი, უგრგვინავდა და ბერებიც სმენად გადაქცეულნი, ჰგრძნობდნენ, როგორ ჯაჭვავდა მათს სულს წინამძღვრის ზე-შთაგონება. განუსაზღვრელი იყო წინამძღვრის ხელმწიფება ასეთს დიდებულს წამებში: ერთი რომ ეთქვა მოხუც ბერებისათვის, ყველანი ზღვაში გადაცვივდებოდნენ.

იმისი მუსიკა, ხმა და ლექსნი, რითაც იგი ადიდებდა უფალს, ზეცასა და ქვეყანას, წყარო მუდმივის სიხარულისა იყო ბერთათვის. ზოგჯერ ამ ერთფეროვანს ცხოვრებაში ბერებს მობეზრდებოდათ ხოლმე ხეები, ყვავილები, გაზაფხული, შემოდგომა, ზღვის ხმა ლახავდა იმათს ყურთა სმენას, ფრინველთ ჭიკჭიკიც აღარ ალხენდათ, ხოლო ნიჭი მოხუც წინამძღვრისა, როგორათაც პური, საჭირო იყო იმათთვის მუდამ დღე.

წელიწადები გადიოდა და დღე კვლავ დღისა მზგავსი იყო, ღამე ღამისა. მონასტრის ახლოს არა სულიერი არ გაიწაწანებდა, გარდა გარეულ ჩიტებისა და ნადირისა. უმახლობელესი სადგური ადამიანისა შორს იყო მონასტრიდან, ასი ვერსი უდაბნო უნდა გადაგევლო, რომ მიგეღწია იმ სადგურიდან მონასტრამდე, ან მონასტრიდან სადგურამდე. უდაბნოს გადავლას მხოლოდ ის გადასწყვეტდა, ხოლმე, ვინც ცხოვრებას შეიძაგებდა, უარსა ჰყოფდა იმას და მონასტერს, როგორც საფლავს, მიაკვლევდა.

აბა, როგორ არ უნდა გაოცებულიყვნენ ბერები, როცა ერთ ღამეს მონასტრის ჭისკარზე დააკაკუნა კაცმა, რომელიც მოქალაქე აღმოჩნდა, ჩვეულებრივი ცოდვილი, ცხოვრების მოტრფიალე. სანამ წინამძღვრისაგან ლოცვა-კურთხევას

გამოითხოვდა და თითონაც მოილოცებდა, ღვინო და საჭმელი დაიძახა. რომ ჰკითხეს, როგორ მოხვედი ქალაქიდან ამ უდაბნოშიო, იმან ნადირობის ამბავი გააჰიანურა: სანადიროდ ყოფილა, ზედ-მეტი გადაუკრავს და გზა აჰრევია. როცა ურჩიეს, აღკვეცილიყო ბერად და ეშველა სულისათვის, გაიცინა და უპასუხა: „მე შენი ამხანაგი არა ვარო!“.

როცა დანაყრდა, თვალი მოავლო ბერებს, რომელნიც ემსახურებოდნენ, ნიშნ-მოგებით დაიქნია თავი და სთქვა:

— არაფერსაც არ აკეთებთ თქვენ, ბერებო! სჭამთ და სვამთ მხოლოდ—ეგ არის თქვენი საქმე! განა ამით უშველით



იაპონელთა სალოცავი.



იაპონელი ოჯახი სადილობს.

სულს? იფიქრეთ: იმ დროს, როცა თქვენ აქ განცხრომით ზიხართ, სჭამთ, სვამთ, ფიქრობთ ნეტარებისათვის, თქვენი თვისნი იღუპებიან და მიდიან ჯოჯოხეთში. ერთი ნახეთ, რა ამბებია ქალაქში! ზოგი შიმშილით კვდება, ზოგნიც ოქრო-გარყვნილებაში ჩაფლულნი იხოცებიან, როგორც ბუზნი თაფლში. ადამიანთ დაუკარგავთ სარწმუნოება, სიმართლე. ვისი საქმეა იმათი შველა, ვისი საქმეა ქადაგება? იქნება ჩემი, რომელიც დილით საღამომდე გალეშილი ვარ? განა სული სათნოებისა, გული სიყვარულისა იმიტომ მოგცათ უფალმა, რომ აქ, ოთხ კედელ შორის ისხდეთ და არაფერს არ აკეთებდეთ?

ლოთის მოქალაქის სიტყვები თავხედური, უკადრისი იყო, მაგრამ მოხუც წინამძღვარზე უცნაური გავლენა იქონია. ფერი ეცვალა და სთქვა:



იაპონია.—ჩაიზე მიწვეულნი



იაპონელ ქალების ბანაობა ეზოში

— ძმანო, სიმართლეს ამბობს! საწყალი ადამიანნი უმეცრებითა და სისუსტის გამო თავს იღუპავენ ცოდვებსა და ურწმუნოებაში, ჩვენ კი აქედან ფეხსაც არა ვძრავთ, თითქოს ეს ჩვენი საქმე არ იყოს. რატომაც არ უნდა წავიდეთ და არ მოვაგონოთ იმათ ქრისტე, რომელიც დაუვიწყნიათ?

მოქალაქის სიტყვებმა გაიტაცეს მოხუცი, მეორე დღესვე აიღო ყავარჯენი, გამოეთხოვა ძმათა და გასწია ქალაქისაკენ, ბერებს მოაკლდათ იმისი მუსიკა, სიტყვანი და ლექსნი...



იაპონია,—ფეხსაცმელები.

იგლოვეს. ერთს თვეს—მოხუცი არსად იყო. ბოლოს მესამე თვის გასულს მოესმათ ნაცნობი ხმა წინამძღვრის ყავარჯნისა. ბერები მისცვივდნენ და ჰკითხავდნენ ვინ რას, და ვინ რას, ხოლო მოხუცი, სიხარულის ნაცვლად, მწარედ ატირდა და ხმა არ ამოიღო. ბერებმა შენიშნეს, რო უფრო მოხუცებულიყო და გამხდარიყო. სახე იმისი დაქანცულობასა და ღრმა მწუხარებას ხატავდა და როცა ატირდა, იტყოდით, რაღაც ძალიან უნდა ეწყენინებინათ ამისათვისაო.

ბერებიც ატირდნენ და თანაგრძნობით ჰკითხავდნენ, რისთვის სტიროდა, რატომ ასე დაღვრემილია. წინამძღვარმა სიტყვა არ დასძრა და ჩაეკეტა თავის სენაკში.

შვიდ დღეს იყო კარ-გამოკეტილში, არც საჭმელი, არც სასმელი, აღარც არგანზე უკრავდა, სულ სტიროდა. ბერები



იაპონია.—თეატრი.



იაპონელი გლეხები.

ხშირად მიადგებოდნენ კარს, სთხოვდნენ გამოსულიყო, გაეზიარა იმათთვის მწუხარება, მაგრამ სულ ამაოდ.

ბოლოს გამოვიდა, გარს შემოიკრიბა ბერები და თვალცრემლიანმა, მწუხარე და ჯავრ-მოსულმა დაიწყო მოთხრობა, რაც შემთხვევოდა ამ სამს თვეს. ხმა წყნარი, მშვიდი იყო და ილიმებოდა კიდეც, როცა მონასტრიდან გამგზავრების ამბავს ამბობდა. გზა-ვზა, ამბობდა იგი, ჩიტნი მიგალობდნენ, წყარონი ჩუხჩუხებდნენ და ტკბილი ოცნებანი სულსა და გულს მიღელვებდნენ. მიდიოდა და თავი მეომრად მოჰქონდა, რომელიც საბრძოლველად ესწრაფვის და გამარჯვებისა იმედი აქვს; ოცნებით ვლიდა იგი, აწყობდა ლექსებსა და ჰიმნთ და ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიარა გზა...

ხოლო ქალაქსა და იმის მცხოვრებლებზე რო დაიწყო ბაასი, ხმა აუკანკალდა, თვალები აუელვარდა და ერთიან ბრაზმორეული გახდა. სიცოცხლეში არას დროს არ უნახავს, ვერც წარმოიდგენდა იმას, რაც ქალაქში იხილა. ნახა და სცნო, რა ძალუმი ყოფილა ეშმაკი და რაოდენად სუსტი, სულ მოკლე და არა რა ადამიანი. უბედურ შემთხვევით, პირველი სადგური, რომელსაც იგი მიადგა, გარყვნილობის სახლი იყო. ორმოცდა ათამდე დიდ-ფულიანი კაცი პური ჭამად ისხდნენ და უზომოდ სვამდნენ ღვინოს, გალოთებულნი იმღეროდნენ და თამამად წამოისროდნენ ისეთს საზარელ სიტყვებს, რომელსაც ღვთის მოშიშარი ადამიანი თავის დღეში არ იტყვის. ალვირ-ახსნილნი, ბედნიერნი არ ერიდებოდნენ უფალს, არ ეშინოდათ ეშმაკისა, არცა სიკვდილისა... ესწრაფებოდნენ იქით,



იაპონია.—სამუსიკო საკრავები.

საითაც გულის-თქმა ეუბნებოდათ... ღვინო კი ანკარა, ლალის ფერი, ოქროს წინწკლებს ისროდა—ეტყობოდა ძალიან ტკბილი უნდა ყოფილიყო და სურნელოვანიც, რადგან, ვინც გადაჰკრავდა, ნეტარებით გაიღიმებოდა და კიდევ და კიდევ უნდოდა, რომ ესვა. კაცის ღიმილზე ღვინოც ღიმილითვე ეპასუხებოდა და როცა სვამდნენ, მხიარულად ნაპერწკლებს ისროდა, თითქოს იცოდა, რა მაცდურის შვენებასაც ჰფარავდა იგი თვის სიტკბოში.

მოხუცი თან-და-თან ცხარდებოდა და სიბრაზისაგან ტირილ მორეული მოუთხრობდა, რაც ენახა... მოქეიფეთა შორის, გაშლილ სუფრის შუაგულში იდგა ნახევრად ტანთ გახდილი როსკიპი. იმაზედ უმშვენიერესს და წარმტაცს ძნელად წარმოიდგენ და ჰნახავ ბუნებაში. ის უნასი, ახალგაზრდა, გრძელის თმით, შავგვრემანი, შავის თვალებით და სქელის ტუჩებით, უსირცხვილო, თოვლივით თეთრ კბილებს აჩენდა, იღიმებოდა, თითქოს ამბობდა: „შემომხედეთ, რა უსირცხვილო და რა ლამაზი ვარო!“ აბრეშუმი და დიბა მოხდენილის ნაოჭებით ეშვებოდა იმის ბეჭებიდან. როსკიპი სვამდა ღვინოს, მღეროდა და ვინც მოისურვებდა, მისი იყო...

მოხუცმა ბრაზითვე ასწერა ცხენთა მარულა, ბრძოლა ხარებისა, თეატრები, მხატვართა და მექანდაკეთა სახელოსნოები, საცა თიხისგან აქანდაკებენ ტიტველს ქალებს. ლაპარაკობდა ზე-შთაგონებით, ლამაზად, ხმა-ტკბილად, თითქოს უჩინარს



იაპონია.—წარჩინებულ ოჯახის ქალების სეირნობა.

სიმებს აჟღერებსო და ბერებიც გაფაციცებით, ხარბად უსმენდნენ იმის მოთხრობას. ასწერა თუ არა ყოველი შვენება ეშმა-

კისა, ბოროტებისა და მომხიბლველი წარმტაცებლობა საზიზღარის ქალის ტანისა, მოხუცმა შეაჩვენა ეშმაკი, გაბრუნდა და მიაშურა თავის სენაკს.

დილით რომ გამოვიდა სენაკიდან, მონასტერში აღარც ერთ ბერი აღარ დახვდა: ყველა ქალაქში გაქცეულიყო.

დ. მესხი.

უცხოეთის ჟურნალებიდან



პროფესორი. ხომ კარგად გაიგეთ ჩემი ლექცია? ძალიან სპეციალურად ხომ არ იყო დაწერილი?

ქალი. ადვილი გასაგები იყო.

პროფესორი. მე განგებ დავწერე ისე მარტივად, რომ უბრალო ჭკუის პატრონსაც გაეგო.



დალაქი. ძალიან შეგთხელებიათ თმა, ბატონო! რატომ ამ წამალს არა ხმარობთ, თმას მოგვგვრით

მუშტარი. თქვენ უთუოდ მაგ წამალს ხმარობთ, რომ მაგისთანა ქოჩორი გაქვთ.



უმცროსი ქალი. ძლიერ მოხარული ვარ, რომ გხედავთ. თქვენი ქმარი სად არის, როგორ არის?

უფროსი ქალი. იმისი ნახვა თუ გსურთ, ან გარს შემომიარეთ, ან მე გადავდგები ამ ადგილიდან.



ცოლი. ჰხედავ, როგორ უყვარს თავისი ცოლი, როგორ ასეირნებს ველოსიპედით, რატომ შენც აგრე არ მასეირნებ?

ქმარი ?!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 октября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.